რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№74/თ

„15“ თებერვალი, 2024 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოში ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

დღეის მდგომარეობით რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს 5 მოსამართლე, აქედან ერთი მოსამართლე, ქალბატონი ქრისტინე კოპალიანი, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, 2024 წლის 01 მარტიდან გადის შვებულებაში; სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს 4 მოსამართლე, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2 მოსამართლე.

ვინაიდან, რუსთავის საქალაქო სასამართლოში შენობაში გათვალისწინებულია 9 სხდომის დარბაზი, სასამართლო სხდომების ურთიერთდამთხვევის მინიმუმამდე დაყვანის და მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს რიგი ორგანიზაციული საკითხები.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ს“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. როგორც წესი:

ა) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები სასამართლო სხდომებს ატარებენ *მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 სხდომის დარბაზებში;*

ბ) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები სასამართლო სხდომებს ატარებენ *მე-5, მე-8 და მე-9 სხდომის დარბაზებში;*

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეები სასამართლო სხდომებს ატარებენ *პირველ და მე-2 სხდომის დარბაზებში.*

2. სხდომის დარბაზების არსებული გადანაწილება არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კოლეგიის მოსამართლეებთან ურთიერთშეთანხმებით, გამოყენებულ იქნა სხვა კოლეგიისთვის გათვალისწინებული სხდომის დარბაზი, *გარდა იმ*

შემთხვევისა, თუ აღნიშნულით იქმენა საფრთხე ვერ განხორციელდეს მართლმსაჯულება იმ კოლეგიის წარმოებაში არსებულ საქმეზე, რომლის სხდომის დარბაზიც უნდა გამოიყენოს სხვა კოლეგიის მოსამართლემ;

3. ამ ბრძანების პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული დანაწესების განუხრელად შესრულების და მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლის ***თანაშემწეებს და სხდომის მდივნებს დაევალოთ*** სხდომების მენეჯმენტირებისა და მართვის ელექტრონული პროგრამის გამოყენება და მონაცემების უშეცდომოდ შეყვანა, როგორც სხდომის დარბაზში გადანიშნულ საქმეებზე, ასევე საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით სასამართლო სხდომის დანიშვნისას;

4. ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 01 მარტიდან;

5. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლეებს და აპარატის თანამშრომლებს;

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მენეჯერს;

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2023 წლის 28 თებერვლის №116/თ ბრძანება;

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქ. N6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე